# სახალხო გაზეთი

№ 333 ოთხშაბათი, 22 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 333

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიიღება განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“-ში, მაგათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვანა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ იხსნება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газэти“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„ხორაპნის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.


## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

**მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.**

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

---

**ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა** ამით აცნობებს ნათესავთა და მეგობართ, საყვარელ ქმრის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

**გარდაცვალებას.** პანაშვიდი ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე. სერგიევის ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა კვირას, 26 თიბათვეს. (6—1356—2)

---

**მთავარ კანტორის მოსამსახურენი** მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მეგობართ და დაუვიწყარ

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი დღეს, 22 ივნისს, სერგიევის ქ., განსვენებულის ბინაზე. (6—1356—2)

---

დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშები გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მეგობრებს და საყვარელ

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას. (6—1356—2)

---

**ამხანაგობა „რექტიფიკატის“ გამგეობა** აუწყებს საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 23 ივნისს, შუადღის 12 საათზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ, დაუვიწყარ და ძვირფას დამფუძნებლის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

სულის მოსახსენებლად, საკუთარ სახლში, სერგიევის ქუჩა, № 13. პანაშვიდი დღეს. კანტორა და ქარხანა დაკეტილი იქნება. (2—681—1)

---

კანტორის პატრონის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

**გარდაცვალების გამო მთავარი კანტორა დაიკეტება 27 თიბათვემდე.** (6—1356—2)

---

ალექსანდრე პეტრეს ძე, ალექსანდრე თეოდორეს ძე სარაჯიშვილნი და ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილისას**

პანაშვიდები მუდამ დღე საღამოს 7 საათზე. სერგიევის ქუჩა, 13, დასაფლავება კვირას 26 ივნისს. (4—676—1)

---

დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშები (ქარხ. № 2 ჩერქეზიშვილის ქუჩა № 93) გულითადის მწუხარებით აუწყებენ ყოველ თანამგრძნობლებს, ნაცნობებს და ამხანაგებს 20 თიბათვეს პირველ საათსა და 30 წუთზე ძვირფას და დაუვიწყარ ადამიანის და პატრონის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია ხუთშაბათს დღისით 12 ს. სერგიევის ქუჩა. № 13, განსვენებულის ბინაზე. (3—679—1)

---

დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის № 2 მოსამსახურენი დიდის მწუხარებით იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ პატრონის

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას 20 ივნისს, ნაშუადღევის 1 ს. და 30 წუთზე. პანაშვიდი ხვალ, ხუთშაბათს, შუადღის 12 საათზე, განსვენებულის ბინაზე—სერგიევის ქ. (1—680—1)

---

ამხ. „რექტიფიკატის“ გამგეობა დიდი მწუხარებით იუწყება ამხანაგობის დამფუძნებლის დაუვიწყარ

**დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის**

გარდაცვალებას. (1—681—1)

---

21 ივნისს 1911 წ. ქ. ქუთაისში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამსახურ გარეშე მყოფი კაპიტანი

**სერაპიონ ივანეს ძე (ოქროპირის ძე) შენგელია,**

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ მშობლებს, ნაცნობებს და ყოფილ თანამსახურთ ქვრივი გარდაცვალებულისა **ეკატერინე ივანეს ასული შვილებით, სიძეებით და რძლით.** პანაშვიდი ყოველ დღე განსვენებულის ბინაზე, ქ. ქუთაისში, ინჟინრის ქ. საკუთ. სახლი. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—11—1)

---


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი საშოსნარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., თერ., და პარ. 10½—11 ს.

**დგებუაძე რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღლაპერიძე გ. გ.** შინ., საშ. და აბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალიშვილი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

**ხოხოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**ხუციშვილი ა. ი.** საშოსნარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—493)



საბურთალოზე **მშვენიერ ადგილას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ჭომაგალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—74)


## გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის ის წევრნი, რომელნიც არ შემოიტანენ ამ განცხადებიდან **ექვსი თვის განმავლობაში** პაის დარჩენილ შემოსატანს, გამორიცხულნი იქნებიან ამხანაგობის წევრობიდან. (1-1355-1)

---


**მიიღება ხელის მოწერა**

## არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე: „ჩვენი საზოგადოებრივობა“.

**შინაარსი:** ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმოციანნი და ოთხმოც-დაათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ვინც ამ წიგნზე ხელს 1 **ივლისამდე** მოაწერს, მათთვის წიგნი ეღირება 40 კაპ. წიგნში იქნება არა ნაკლებ 260 გვერდისა.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს. (20—1326—13)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა უქმე დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. ვაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**გ. ს. სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხოხოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წ.—1090—90)



**ქუთაისში**

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—16)



## ექიმი კბილისა ისიდორე ჭანტურია

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329—14)



## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.



**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—45)



## ექიმი ი. ზაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 8—82



**აბასთუმანში**

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—9)



**სურამში**

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.



## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა.


## ტფილისი, 22 ივნისი

**ჩვენი მთის სამეურნეობა და მთავრობის აგრონომიული დახმარება.**

დღევანდელ ნომერში მკითხველი ჰნახავს ანგარიშს ქართულს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სხდომისას.

ამ კრებაზე ბ-ნმა ქალანთარმა მოახსენა დაწვრილებით თავისი მოსაზრებანი „აგრონომიულ დახმარების მოწყობის თაობაზე მთაში (თიანეთისა და დუშეთის მაზრაში) და შთაბეჭდილებანი ს. ვორონცოვკაში გამართულ საქონლის გამოფენის შესახებ. ამ საუბრის დროს ბ-ნ ქალანთარს კრიტიკაც არ დაუძრავს, თუ რას აპირობს იგი ჩვენს მთაში აგრონომიულ დახმარების მოსაწყობად; რითი აპირობს იგი დამთავრებას წარსულ ორ ზაფხულის უსისტემო და ხან-მოკლე მუშაობისას (1909 წელს 1 თვე, და 1910 წ. 2 თვე). ამაზე ბ-ნი ქალანთარი სდუმს და თუ არა ვსცდებით, არა-თუ ისე ბუნდოვანად უთითებს ქართულს სას.-სამეურ. საზოგადოებას, საჭიროა საზოგადოებამ თავისი ყურადღება მიაქციოს მთაში შესაფერ ორგანიზაციის მოწყობასათ.

თითონ? თითონ ალბად ისევ კარაკლისს და ვორონცოვკას მოუვლის და უვლის კიდეც. მისივე მეორე მოხსენებიდან ნათლადა სჩანს, რომ ვორონცოვკაში ზამთარში საცდელად მოუწყვიათ საქონლის რიგიანად კვება. ეხლა გაუმართავთ გამოფენა, გამოფენასთან კრება. კარაკლისში უკვე კაი ხანია (ეს მესამე წელიწადია), ყოველ-წლივ მერძევეობის კურსები იმართება. ამ კურსებს როგორღაც ვერა ჰხვდება ჩვენი ხალხი. მხოლოდ შარშან და ისიც ერთი ქართველი მასწავლებელი იყო კურსებზე. წრეულს აპირობდა ჩვენი მთიდან გამოეწვია მზრუნველის მეოხებით რამდენიმე ქართველი მასწავლებელი. ნეტა აასრულა თავისი განძრახვა, თუ ვერ მოუხვდა მრავალ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო? ყოველ-წლივ იგზავნება სამხრეთ-კავკასიაში ინსტრუქტორები ადგი-

ლობრივ ხალხში მერძევეობა, მეყველეობაზე წესიერ ცოდნის გასავრცელებლად. ბ-ნ ქალანთარი მერძევეობის უფროს ინსტრუქტორად ითვლება ამიერ-კავკასიაში, და მას აბარია მთლად ამიერ-კავკასიაში ეს საქმე. საჭიროა ჩვენმა ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ხმა ამოიღოს და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ ჩვენშიაც არის საჭირო აგრონომიული დახმარება და იმ მცირეოდენ კულტურულ ლუკმაშიაც, რომელსაც ასე ძვირად იმეტებს მთავრობა, ჩვენც წილი გვედვას, თორემ ბ-ნ ქალანთარს როგორღაც ავიწყდება, ალბად უბრალო გულმავიწყობით, რომ ცოტა ჩრდილოეთით *მდებარეობს საქართველოს პატარა კუთხე—მთა.

დროა, დრო, გავახსენოთ, რომ ჩვენც ვარსებობთ და რომ ჩვენც გვიდევს წილი გაჭირვებაშიაც და დალხინებაშიაც. თორემ, როგორღაც უხერხულად გამოდის, გაჭირებაში ჩვენც გვიზიარებენ, დალხინებაში კი სავსებით ვავიწყდებით...

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სანამ დასავლეთ გუბერნიების ერობის კანონ-პროექტს გაიყვანდნენ, ყველს არწმუნებდნენ, ფაქტიურადაც ერობას მალე შემოვიღებთ, რადგანაც მხარე დაინტერესებულია და პოლიტიკასაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთო. ახლა კი, როდესაც 87 მუხლმა გაიმარჯვა, „სვეტი" ირწმუნება, ეს ერობა, რა თქმა უნდა, პოლიტიკის გარეშე ვერ იდგებაო. „რეჩი" აქცევს ყურადღებას თვით ამ პოლიტიკის ხასიათს და ამბობს:

...მით უფრო საინტერესოა არქიელ ვიტალის ვოლინის გუბერნიის სამღვდელოების მიმართ ბრძანება, რომლითაც ევალებათ სათათბიროს არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ... რა პოლიტიკური ფუნქციები ევალება სამღვდელოებას? ამის შესაფერი ცირკულიარი, რა თქმა უნდა, მათ ფარულად ეგზავნებათ და ავალებს ყოველივე „ცნობების" მიწოდებას არჩეულ კანდიდატებზე, იმათ ყოფა-ცხოვრებაზე, მათზე ურიების გავლენასა და სხვა. ერთი სიტყვით, ევალებათ ყოველივე ის, რაც დიდი ხანია მაძებარ პოლიციისაგან დადგენილია. არას ვიტყვით იმაზე, თუ სადამდე მიიყვანს ეს ფარული განკარგულებები სოფლის დაწვრილმანებულ ცხოვრებას, თუ რა საშუალება ეძლევათ ყველას პირად ინტერესების ასამოძრავებლად, რაც მივარდნილ ადგილებში ასე ხშირია.

ამას მკვიდრნი უკვე მიეჩვივნენ, იმისათვის სულ-ერთია ვინ აწარმოებს ამ საქმეს ურიადნიკი, სტრაჟნიკი, უბრალო „საქმის მოყვარე", თუ სულიერი მამა. მაგრამ, თუ ასეთი მოვალეობა სასულიერო პირთ ეკისრებათ, განა ღირს ასეთი აურ-ზაურის ატეხა, როგორიც ატეხილია სასულიერო სკოლების რეფორმის თაობაზე, იმაზე, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს მას. რისი იმედი უნდა იქონიოს რეფორმამ, როდესაც სასულიერო წოდებას პოლიტიკაში ითრევენ და ასეთ—მის სახელისათვის სამარცხვინო—ფუნქციებს აკისრებენ.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ როგორც გადმოგვცეს პოეტი ევდოშვილი, რომელიც სამის წლით ვოლოგდის გუბერნიაში იყო გადასახლებული, ავადმყოფობის გამო ასტრახანის გუბერნიაში გადმოუყვანიათ.

✦ **ცნობილი მდიდრის ანანოვის** (რომელიც აჯამეთის ტყეს პატრონობს) ახალი შენობა ვერის დაღმართზე სექტემბრისათვის დამთავრდება. ამ შენობაში ბ. ანანოვი თავისი შამპანიურის მთავარ საწყობს გამართავს.

✦ **ძმ. არშაკ და სარქის საფაროვების ბინაზე** 20 ივნისს პოლიციამ აღმოაჩინა 550 პატრონა, პაპიროსის ქაღალდი და არაყი. საფაროვებს სამართალში აძლევენ.

✦ **ახალი ჟურნალი**. რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი ყოველკვირეულ ქართულ ჟურნალ „კოოპერაციისა", რომელიც ქუთაისში გამოდის და ერთი შაური ღირს.

✦ **კულპის (ერევ. გუბ.) მარილის მრეწველობის საზოგადოების გამგეობამ** ტფილისის საბირჟო კომიტეტს მიმართა თხოვნით, რკინის გზის მთავარ სამმართველოს წინაშე იშუამდგომლოს, რათა კულპის მარილის გადატანაზე ტარიფი დაუკლონ.

## წვრილი ამბები

✦ ტფილისში შეიპყრეს ფილიპე ხაბაროვი და სვიმონ პივუნი, რომელთაც 5 ივნისს დიმიტრი ფელდფოგს მოჰპარეს 100 მან. ფული, რევოლვერი და პასპორტი.

✦ 20 ივნისს მტკვარში დაიღრჩო სეიდ მაჰმედ მუსტაფა ოღლი.

✦ 20 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 3 უპასპორტო.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის გამგეობამ** გუშინდელ კრებაზე მსჯელობა იქონია სახ. სახლთან არსებულ რუსულ დრამატიულ სექციის წინადადების შესახებ, რომ სახალხო სახლი იჯარით მას გადაეცეს. გამგეობამ საერთოდ არა სასურველად სცნო სახალხო სახლის რომელიმე სექციისათვის, ან კერძო პირისათვის იჯარით გადაცემა, რადგანაც მაშინ დანარჩენი სექციების ინტერესები უეჭველად დაიჩაგრება.

## სასწავლებლებში

✦ ტფილისის ქალთა პირველი გიმნაზიის 8 კლასი წელს 70 მოწაფემ დაასრულა: მათში ქართველებია: თ. ბაქრაძე, ა. დავითაშვილი, ე. ჯორჯაძე, თ. კონიაშვილი, თ. ნაკუდლიშვილი, ო. თოიძე, ეკ. არდაზიანი, ე. არდიშვილი, ნ. იმნაიშვილი, ს. კოჩნიაშვილი, ე. თარხნიშვილი, ეკ. ჯმუხაძე, ნ. ძღენტი, ე. მთიულიშვილი, ო. ოკუჯავა და მ. საყვარელიძე.

✦ **გუშინ დაიხურა მხატვრული გამოფენა** კავკასიის ოლქის საშუალო სასწავლებლების მოწაფეებისა. ყველაზე უკეთესი ნახატები გამოფენაზე რეალურ სასწავლებლებიდან იყო წარმოდგენილი.

✦ **წელს ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლა 27 ქალმა დაასრულა.** მათი გვარები:

ალაძე ანნა, ჯაფარიძე მარიამ, მზესტაშვილი მატრონა, ტატიშვილი ნინო, გომელაური დარია, ნადირაძე თამარ, გორდეზიანი აგრაფინა, ჩერქეზიშვილი მარიამ, გოგიბედოვა ანა, ხარაძე ანა, გედევანიშვილი ბარბალე, გეურქოვი ანა, დარახველიძე ელისაბედ, კობახიძე ევა, დინერმან ევგენია, ლეკიშვილი ელისაბედ, ქორაშვილი ანა, ხარაბაძე ნინო, ჯანიშვილი ნინო, ნარიმანოვი ვერა, ჰალაური ნინო, არეშიძე თამარ, სუკაჩოვი ვერა, ყანჩაველი ალაფოდისტო, ჩიქაძე მარიამ, ოქროპირიძე ნინო და მედუნიცკაია კლემენტინა. გამოცდას დაესწრო სახელოსნო გამგეობის მოურავი სეროზიანცი და ასისტენტებად ამქრები: იოსებ დოლონაძე და მ. მელენჩუკი.

## რკინის გზაზე

✦ **სად. აბაშში**, 19 ივნისს, სადამოს 6 საათზე, ქუთაისიდან მიმავალ მატარებლის № 25 მგზავრი რახიდ ხუბლაშვილი გაუფრთხილებლობის გამო მატარებლიდან გადმოვარდა და გორგლებ ქვეშ მოჰყვა. მატარებელმა მას ორივე ფეხი მოსწყვიტა. პირველი შემწეობის აღმოჩენისთანავე დაშავებული სამტრედიის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ გუშინ აღვნიშნეთ, რომ სადგურ ბათომში მატარებლის გამოსვლისას უცნობს რევოლვერით დაუჭრია ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი ზაქარია კობიძე. ეხლა გვატყობინებენ, რომ უცნობი ქალაქ ბათომში შეუპყრიათ. იგი აღმოჩნდა ცნობილი ბოროტ-მოქმედი, ღირსება აურიდი მედიტონ ორბელიძე.

✦ **სად. ალიათში** (ბაქოს გზა) 628 ვერსზე სადარაჯო სადგურს ცეცხლი წაეკიდა. შენობა ერთიანად გადაიბუგა. შენობის ფანჯარიდან გადმომხტარა დარაჯის ცოლი ავდეევისა და მძიმედ დაშავებულა. ზარალი 800 მან. უდრის.

## ქუთაისი

✦ 14 ივნისის სხდომაზე ქუთაისში წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტმა გაარჩია ქალადიდის მცხოვრებლების ტაია და მელიტონ სპირიდონოვების და ელიზბარ ბაბილუას ქვრივის საჩივრები სენაკის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაზე, რომელსაც არ გადაუხდია მომჩივნებისთვის მიბარებული ფული. ვინაიდან ეს ამხანაგობა უკვე დახურულა, კომიტეტმა დაადგინა—გადაეცეს საჩივრები სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებას საქმის გამოსაძიებლად და შესაფერი ზომების მისაღებად.—კომიტეტმა გაარჩია აგრეთვე სოფ. კორბოულის და ბერეთისის (შორაპნის მაზრაში) საქმე, ამ სოფლებში საკრედიტო ამხანაგობის დაარსების შესახებ. კომიტეტმა საჭიროდ არ სცნო თითოეულში ცალკე ამხანაგობის დაარსება და დაადგინა: დაარსდეს მხოლოდ ერთი ამხანაგობა—კორბოულისა, რომელიც თავის მოქმედებას გააფართოვებს ორივე სოფელზე. ძირითად თანხად მიეცეს 2,500 მანეთი იმ პირობით, რომ თითო წევრის დავალიანება არ აღემატებოდეს 85 მან. და გირაოს ქვეშ გატანილი სესხი კი 300 მანეთს.

✦ მომავალ თვის დამდეგს ქუთაისში ჩავა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი. — ყოვლად სამღვდელო ლეჩხუმს გაემგზავრება და ინახულებს იმ მამულს, რომელიც ამას წინად მთავრობის გადაწყვეტილებით მარტვილის მონასტერს დარჩა.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა ქალაქის მოურავის მოადგილედ ამას წინად არჩეული გამგეობის წევრი პ. ი. მოსიძე.

(„კოლხიდა").

## პროვინცია

✦ **სოფ. საქარინთლოში** (გორის მაზრა) პავლე გოხელაძეს ჩხუბის დროს ცულით მოუკლავს ეგნატე გოხელაძე, მკვლელი შეუპყრიათ.

✦ **სოფ. ჭიკნაანში** (სიღნაღის მაზრა) დათიკო ჩაბაშვილს საბალახოზე ჩხუბი მოსვლია ალექსა ჩაბაშვილთან და თოფით მოუკლავს. ჩაბაშვილი შეუპყრიათ.

✦ **სოფ. ვერძეხვეთში** (თიონეთის მაზრა) რვა შეიარაღებული მძარცველი თავს დასხმია ჟ. ცოცხვერაშვილის სახლს; თორმეტი ტყვიით მოუკლავთ იგი ცოლისა და ძმის თვალ წინ; შემდეგ წაურთმევიათ ვერცხლის ხმალ-ხანჯალი, ქამარი, 80 მან. საბუთების ქაღალდები და მიმალულან.

## სომეხთა ცხოვრება

✦ **სომეხი მოღვაწე ოღაიანი**, როგორც ვწერდით, გუშინ წინ ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა. ამის გამო გაზ. „ორიზონმა" დიდძალი თანაგრძნობის დეპეშა მიიღო.

# დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო

(ბიოგრაფიული ცნობანი)

განსვენებული დ. ზ. სარაჯიშვილი დაიბადა ქ. ტფილისს 1848 წელს, 28 ოქტომბერს. იგი იყო ტფილისიდან ჩამომავლობით, საპატიო მოქალაქე. სიყმაწვილე საყვარელ ოჯახში გაატარა. სასკოლო ჰასაკისა რომ გახდა, ტფილისის 1 გიმნაზიაში მიაბარეს. გიმნაზია 1866 წელს დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. იქ მხოლოდ ერთს წელიწადს დაჰყო და გერმანიაში გაემგზავრა. მიუნხენის უნივერსიტეტში შევიდა, მერე ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც 1871 წელს სწავლა დაამთავრა და ქიმიის დოქტორის წოდება მიიღო.

ამის შემდეგ 1878 წლამდე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას სწავლობდა ჰოგენჰეიმსა და გალლეს. 1878—1879 წლებში კი საფრანგეთში სწავლობდა მევენახეობის ყველა დარგს. როგორც სჩანს განსვენებული სასოფლო სამეურნეო მოღვაწეობისათვის ემზადებოდა და საფუძვლიანადაც შეისწავლა, მაგრამ ისე დატრიალდა საქმე, რომ სულ მოულოდნელად არყის საქმეში ჩაება და კავკავის მახლობლად არყის სახდელი ქარხანა შეიძინა. ეს ქარხანა მეტად პირველყოფილ მდგომარეობაში იყო, რაც ვერ აკმაყოფილებდა განსვენებულს; ამისათვის ხელახლა გადააკეთა გაუმჯობესებულ ტეხნიკის მიხედვით, ხოლო საქმისა და ბაზრის გასაფართოვებლად ტფილისშიაც გახსნა დიდი საწყობი. აქვე შემოიღო მან კავკასიაში ჯერ უცნობი რამ —რექტიფიკაციის აპარატი. 1887 წ. ტფილისშივე გახსნა ლიქიორის ქარხანა, რისთვისაც მცოდნე ოსტატები საფრანგეთიდან დაიბარა. დავით ზაქარიას ძის ასეთ ცოცხალ მუშაობას სააქციზო უწყების გამგე აქცევს ყურადღებას და გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტში წარმოდგენილ ყოველ-წლიურ ანგარიშში აუცილებლად იხსენიებს ამ ახალ ფირმის საქმიანობას.

მაგრამ დ. ზ. მაინც ვერ ისვენებს, არყისა და ლიქიორის წარმოება ვერ აკმაყოფილებს, მისი დიდი ხნის სურვილი იყო კონიაკის წარმოება, რომელიც რუსეთში ჯერ არ არსებობდა. ამ საქმეს გაცილებით დიდი თანხა სჭირდებოდა და მეტად საძნელო საქმეც იყო, მაგრამ განსვენებულს მიღებულ ცოდნის გამოყენება არ ასვენებდა. ამ საქმისთვის ხარჯის გარდა, სასმელების მთელი რაიონის ცოდნა იყო საჭირო და სხ. მან კარგად იცოდა, რომ ამ ნაბიჯით მთელ თავის ქონებას განსაცდელში აგდებდა, მაგრამ დიდი ხნის სურვილს ვერ ეურჩებოდა. ამისათვის 1888 წ. პირველად ტფილისში დასდგა კონიაკის აპარატი, რომლის შემწეობითაც სხვადასხვა კუთხის ღვინისაგან კონიაკის ხდა დაიწყო. გამოცდილებამ დაანახვა, რომ კონიაკის დასამზადებლად საჭიროა ყველა კუთხის ნაყოფი, მათი სარდაფებში დაყენება-შენახვა და მერე ისეთის სასმელისა, რომელსაც საფრანგეთში „კონიაკს" უწოდებდნენ. ამ საქმისათვის ადგილობრივ შესაფერ შენობათა აგება იყო საჭირო. დ. ზ. სარაჯიშვილიც ნელნელა შეუდგა მათს აშენებას: 1889 წ. ააშენა ყიზლიარში, 1894 წ. ერევანში, 1895 წ. ბესარაბიაში კიშინიოვის მახლობლად დაბა კალარასში, 1901 წ. ბაქ. გუბ. გეოქჩაიში; აქისდა მიხედვით ტფილისის მთავარ საწყობსაც აფართოვებდა. საქმე წინ მიდიოდა. 1890 წ. სააქციზო გადასახადთა გამგეს ანგარიშში ნათქვამია: „ბ-ნი სარაჯევი, როგორც გამრჯე და ენერგიულმა ადამიანმა, ბევრი იშრომა კავკასიაში სამშობლო ქვეყნის მრეწველობის ასაღორძინებლად: მაგ. 1885 წ. მან კავკავში იყიდა არყის ქარხანა, რომელიც წელიწადში 3—4 მილიონ გრადუს სპირტს ამზადებდა, ეს რიცხვი ბ-ნმა სარაჯევმა 8 მილიონ გრადუსამდე აიყვანა. 1886 წელს მან ტფილისში გახსნა კავკასიაში **პირველი** რექტიფიკაციის ქარხანა, 1887 წ. დაარსა კავკასიაში პირველი არყის ქარხანა. ამ ქარ-

# ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება

17 ივნისი

თავმჯდომარეობდა თავ. დ. გ. ხოლდოუშვილი. დაესწრნენ: ვ. ი. რცხილაძე, ი. ო. იოსელიანი, ე. ხრამელაშვილი, ზ. ს. ქურდიანი, კ. ტყავაძე და სხვანი.

ბ-ნმა ქალანთარმა წაიკითხა მოხსენების პრაქტიკული ნაწილი, რომელიც ეხებოდა ჩვენს მთაში აგრონომიულ დახმარების მოწყობას ერბო-მეყველეობის განსავითარებლად.

ჩვენში მისდევენ მსხვილსა და წვრილ საქონლის მოშენებასაო,—სთქვა ქალანთარმა,—ვისაც საქონელი ბლომადა ჰყავს, მისდევს მომთაბარეობას—ე. ი. ზამთარში საქონელი შირაქში ჰყავს, ზაფხულში კი მიერეკება დუშეთის და თიანეთის მაზრის მთებში ან თრიალეთს; წლითი-წლობით პირობანი მომთაბარე საქონლის მოშენებისათვის უარესდება. მიწის სივიწროვე, ხალხის გამრავლება და ათასი სხვა გარემოება აფერხებს და აძნელებს საქონლის ერთის ადგილიდან მეორეზე გადარეკას. სისხლის ღვრა, ათასი უსიამოვნება, აი, რა უჭირებს საქმეს ისედაც გაჭირვებულს მეურნეს. საკმაო გრძელი ზამთარი, უდროვო დროს სიცივეები, რომ საქონელი სულ მთლად დაიღუპოს. წრევანდელი ზარალი საქონლის მეურნეთა უბედურ ზამთრისა და უდროვო სიცივეების წყალობით აღინუსხება ათასობით: ტფილისიდან აღმოსავლეთით, ვიდრე კასპიის ზღვამდე დაიხოცა საკვების უქონლობისა გამო (ზამთარი გაგრძელდა ძალიან და საქონელს საკვები არ ეყო) 150,000 ამდე სული ბატკანი. ამ რიგად საკმაო საკვების უქონლობა ძალიან ხელს უცარავს ჩვენს მეურნეს და ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მომავალი მოქმედების პირველი საგანი ამ ნაკლის შევსება უნდა იყოს. საჭიროა ადგილობრივმა მეურნეებმა შეიგნონ და დაიწყონ ბალახის თესვა, ჭარხლის მოყვანა, და ამ რიგად ერთი მიზეზთაგანი მათის დაქვეითებისა თავიდან აიცილონ. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ ხალხი თანდათან ბინადრობას ეკიდება: წარმოიდგინეთ, რომ თათრებიც კი, ეს გაუტეხელი მომთაბარენი, ისინიც კი იკიდებენ ფეხს ერთს ადგილზე. ქართველები კი ნახევრად მომთაბარობენ, იმათ ადგილობრივ გაწყობილი მეურნეობა აქვთ, და საქონელს მთელი ოჯახი კი არ მისდევს, არამედ რამდენიმე წევრი, დანარჩენნი კი სახლში რჩებიან და სოფლის მუშაობას ეწევიან; ბევრი წვრილი საქონელი სახლში რჩება და სოფელში ატარებს ზამთარს; სახლში სტოვებენ წვრილი მეურნენი; რიცხვი სახლში დატოვებულ საქონლისა თანდათან მატულობს. ჯერჯერობით კი მაინც წვრილი მეურნენი სტოვებენ სახლში საქონელს. თანდათან მსხვილი მეპატრონენიც მიჰბაძვენ მათ. წვრილს მეურნეებს ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ უნდა მიატანოს, წვრილი მეურნენი შეუწყობდა ხელს ქართ. სასოფლო-სამეურ. საზოგადოების მოღვაწეობაში, ახალ ტიპის საერბო-ყველე მეურნეობის შექმნა—გავრცელებაში. ეს ნათლად გამოარკვია ამ ორი წლის წინად დაწყობილმა მუშაობამ თიანეთის მაზრაში. იქ გაიგზავნა ლ. ზარაფიანი და ე. კარბელაშვილი. ხალხს ცხადად ეტყობა ცოდნის შეძენის სურვილი. ზოგ ალაგას სთხოვდნენ მათ დარჩენილიყვნენ, ზოგან კი ეშინოდათ, ხარჯები არ გაგვაწერონო. მათ მცირედი ხნით შეეძლოთ მხოლოდ დარჩენა სოფლებში. საჭიროა უფრო მეტი დრო ჰქონიყოთ. ქართ. სასოფ. სამ. საზოგადოებამ უნდა წინდაწინვე გამართოს მოლაპარაკება კერძო მეურნეებთან და შემდეგ გაუგზავნოს ინსტრუქტორი, რომელიც იქ უნდა რჩებოდეს კარგა ხანსო, ვიდრე მანქანების უპირატესობა არ გამოირკვევოდეს ხალხისათვის—დაახლოვებით კვირა ან ორი. ხალხის სიბნელე არ უნდა გვაშინებდეს. ყველგან ერთნაირად იდგამს ფეხს ეს საქმე: **ჯერ** უნდობლობა, შიში ახალ ხარჯების გაწერისა; შემდგომ კი ხალხი იცვლის ამ ჰაზრს და თითონვე თხოულობს დახმარებას. მაგალითად მოვიყვან სოფ. ვარანცოვკას. იქ ამ ზამთარს სანდოლად გამართული იყო საქონლის რიგიანი კვება. საქონელს აჭმევდნენ სხვათა შორის ჭარხალს, და თუ პირველში ხალხი უნდოთ ეკიდებოდა ამ საქმეს, ზის დამწყობთ დასცინოდა, ეხლა სულ სხვასა ვხედავთ: ხალხმა შეიგნო სიკეთე ჭარხლით საქონლის კვებისა და მის მოყვანას ხელი მიჰყო.

ვიმეორებთ, საჭიროა ხალხში გავრცელდეს ცოდნა ბალახის და ძირნაყოფთა მოყვანისა, რათა იმით ხალხს საქონლის საკვები საკმაო ჰქონდეს.

რაც შეეხება წვრილ-ფეხა საქონელს—ცხვარს, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო დროს დიდი ინტერესი ეტყობა მრეწველობაში უბრალო ცხვრის მატყლისადმი; ამხანად რუსეთში გასავალი აქვს უბრალო, ჩვენებურ ცხვრის მატყლს; ხორცი, გემოთი ბევრად ჰარბობს იქაურ ცხვრის ხორცს და ამხანად, როცა რუსეთში იმართება მრავლად მთელი წყება საყინვე-საწყობებისა, ხორციც, უეჭველია, შესაფერს ბაზარს მოიპოვებს.

რაც შეეხება რძის გამოყენებას, რუსეთში ეს საქმე ნაკლებად იციან და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მოვალეობაა ითავოს ეს საქმე და ყველა ღონისძიება იხმაროს მონაწილეობის მისაღებად მომავალ წლის მაისში განძრახულ სრულიად რუსეთის მეცხვარეთა კრება-გამოფენაზე. კრება მოსკოვში მოხდება. კარგი იქნებოდა, საზოგადოებას ადგილობრივ დაერჩია საუკეთესო ცხვარი, გამოფენაზე გაეგზავნა, გამოერკვია ადგილობრივ ქართულ ცხვრის სიავ-კარგე, მისი სარფიანობა, მოეწვია კერძო კრება ქართველ მეცხვარეთა ადგილობრივ მეცხვარეობის საჭიროების გამოსარკვევად და ეკისრა საჭირო პირთა მომზადება როგორც აქ, საზაფხულო კურსებზე, ისე შიდა რუსეთში გაგზავნით—ზამთრის კურსებზე.

ამ წინადადებით დაამთავრა ბ-ნმა ქალანთარმა თავის მოხსენების პირველი ნაწილი და შემდეგ მოახსენა კრებას შთაბეჭდილებანი სოფ. ვორონცოვკაში გამართულ საქონლის გამოფენისა.

სოფ. ვორონცოვკაში გამართულს გამოფენაში,—დაიწყო ბ-ნმა ქალანთარმა,—ყველას ერთნაირად როდი მიუღია მონაწილეობა; გამოფენილი იყო 185 სული მსხვილფეხა საქონელი; ამათგან 150 სული მალაკნისა, 1 შვეიცარიელისა და დანარჩენი 34 ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა. — 2 თათრის სოფლისა—სოუხ-ბულახისა და ყარაისარისა, სოფ. ბაქარაქისა და აიდარბექისა, რამდენიმე სული ჯალალოღლიელებისა. ქართველებს საქონელი არ მოუყვანიათ. ალბად ხალხმა არ იცოდა რისთვის იმართება გამოფენა, რა არის გამოფენა; დასწრებით კი კრებას, რომელიც ამ დროს გაიმართა, დაესწრო ორი გომარეთელი ქართველი.

გამოფენილ საქონელში ირჩეოდა მალაკნების საქონელი; საქონელი კაი ღირსებისა; თათრებს საშუალო ღირსებისა; ყველაზე უხეირო საქონელი სომხებსა ჰყავნდათ. სხვათა შორის სომხებში კარგი საქონელი ჰყავნდათ სოფლებიდან ბინებზე გასულთ. ეს გარემოება შემდეგის მოსაზრებით აიხსნება. მიწებზე გასულა სოფლის უფრო მოწინავე ნაწილი, რომელთაც გონება უფრო ფართოდ უჭრის, იგინი მიჰხვდნენ გამოფენის მნიშვნელობას —მიხვდნენ რომ საჭიროა გამოფენაზე მიყვანა საუკეთესო საქონლისა, რათა ამით ხალხისათვის დაენახვებინათ თავიანთ საზრიან მუშაობის კარგი ნაყოფი, სოფლებში დარჩენილ სომხებს კი მოეყვანათ უხეირო, გაუმჯობესებელი საქონელი იმ შიშით, რომ იქნება ხარჯების გაწერა იყოსო და ბლომად არ შემოგვაწერონო.

გომარეთელთ კარგი საქონელი უნდა ჰყავდეთ, რადგანაც წინდაც მინახავს; იმედია მომავალში ისინიც წარმოადგენენ საქონელს და კარგ ჯილდოს მიღებასაც შესძლებენ.

ხანში დამზადებული სასმელი იმდენად კარგია, რომ სულ მცირე ხანში გაიწია არა თუ კავკასიაში, შიდა რუსეთშიაც და თვით პეტერბურგშიაც კი. 1888 წ. დ. ზ. სარაჯევმა ტფილისში გახსნა **პირველი კონიაკის ქარხანა რუსეთში**, რითაც მაგალითი მისცა სხვებსაც კავკასიაში ასეთ ქარხნების გახსნისა. სარაჯევის კონიაკი თავისის ღირსებით თამამად უწევს მეტოქეობას სხვა კონიაკებს მთელი რუსეთის ბაზარზე".

ათის წლის მერე, 1901 წელს, სააქციზო ხარჯთ-აკრების გამგემ, გაუწერელ გარდასახადთა მთავარსამმართველოს უფროსს შემდეგი მოხსენება წარუდგინა. (1 ივნ. 1901 წ. № 7293): „მიმდინარე წლის აგვისტოში ტფილისში იხსნება კავკასიური გამოფენა სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობისა, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის თავის აღსანიშნავად. ამ გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს არყისა და სხვა მაგარ სასმელების განყოფილებაც. ამისათვის შესაფერად მიმაჩნია თქვენს მაღალკეთილშობილებას მოვახსენო, რუსეთში ცნობილ და ადგილობრივ მეტად გავრცელებულ დ. ზ. სარაჯიშვილის მრეწველობა შეიძლება თქვენმა მაღალ-კეთილშობილებამ საიუბილეო გამოფენის გამო (აქ აღნიშნულია დ. ზ. ქარხნის თანდათანი განვითარება) იგი ყურადღების ღირსი გახადოს, რადგანაც ამ ძვირფას დარგში, როგორიცაა ეხლა კონიაკის წარმოება, დიდი ღვაწლი მიუძღვის და დიდი სახელიცა აქვს დამსახურებული სარაჯიშვილის ფირმას, რომელიც 17 წელ. რაც არსებობს. სამართლიანობა მოითხოვდა იგი წაგვეხალისებინათ და კომერციის სოვეტნიკობა გვებოძებინათ. ეს ჯილდო უფრო შეეფერებოდა იმ ხაპატიო მდგომარეობას, რომელიც უჭირავს ბ-ნ სარაჯიშვილს ტფილისის სავაჭრო და საზოგადო საქმეში".

1902 წ. 1 იანვარს დ. ზ. სარაჯიშვილს „სამშობლო ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში სასარგებლო მოღვაწეობისათვის" უმაღლესად ებოძა ხარისხი „კომერციის სოვეტნიკისა".

**ზოგიერთი ცნობანი დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერძიდან.**

როგორც დანამდვილებით გავიგეთ განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილს ანდერძით 1) ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის დაუტოვებია 300,000 მანეთი იმ პირობით, რომ ამ თანხის ნახევარი განზრახულ ქართულ მუზეუმის აგებას მოხმარდეს, მეორე ნახევარი კი უნდა გადაიდოს უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობის სასტიპენდიოდ, როგორც რუსეთში ისე საზღვარგარედ. სასტიპენდიო თანხა უკლებლივ უნდა ინახებოდეს და სტიპენდიებზე მხოლოდ მისი სარგებელი უნდა იხარჯებოდეს. სტიპენდიების რაოდენობას წ. კ. საზ. გამგეობა და განსვენებულის სურვილის ამსრულებელი (დუშეპრიკაზჩიკი) განმარტავენ, სანამ იგინი ცოცხალნი იქნებიან. 2. განსაზღვრულ დროის განმავლობაში ტფილისის პირველ სავაჟო გიმნაზიას გადაეცემა 10,000 მან., ტფილ. სასულიერო სემინარიას—5,000 მან. ყველა მუშებს, ოსტატებს, რომელთაც ორ წელიწადი მაინც უმსახურიათ და გარდაცვალების დროს ქარხნებში, საწყობებში, კანტორებში თუ მამულებში იმყოფებიან—25,000 მან., ხოლო გარდაცვალების დროს კანტორებს, ქარხნებსა, საწყობებსა და მამულში მყოფ მსახურთ—100,000 მანეთი.

3) იმ დღემდე, სანამ ანდერძში მოხსენებული თანხა წ. კ. საზოგადოებას გადაეცემა სამუზეიმო და სასტიპენდიო თანხა, გაგრძელდეს იმ სტიპენდიების ძლევა, რომელიც უკანასკნელ წლებში იძლეოდა. უკეთუ რომელიმე სტიპენდიატი სწავლას დაამთავრებს ამ ვადაზე ადრე, მაშინ ახალ სტიპენდიათა დანიშვნა შეჩერდეს.

4. გარდაცვალებიდან სამი წლის განმავლობაში ეძლიოს დახმარება იმდენივე, რაც სიცოცხლის უკანასკნელ დროს ეძლეოდათ.

---

გუშინ, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მეთაურობით ნაშუადღევის 1 საათზე მიხდა ქართველ დაწესებულებათა და რედაქციათა წარმომადგენლების კრება. კრებამ ვ. გუნიას თავმჯდომარეობით აირჩია კომიტეტი, რომელიც **დ. ზ. სარაჯიშვილის** დაკრძალვის დღეს თადარიგს ვასწევს.

**ქალაქის გამგეობამ** გუშინდელ სხდომაზე ერთხმად დაადგინა დაესწროს მთელი შემადგენლობით **ზაქარია დავითის ძის სარაჯიშვილის დასაფლავებას** და შეამკოს გარდაცვალებულის კუბო გვირგვინით ზედწარწერით: „სამაგალითო მოქალაქეს, გულუხვ ქველმოქმედს საზოგადო საქმეებისათვის, შესანიშნავ ადამიანს და სხვა".

20 ივნისს დრამატიული საზოგადოების კრების გაგრძელება იყო. დანიშნული. დ. ზ. სარაჯიშვილის გარდაცვალებისა გამო, მგლოვიარობის ნიშნად კრება დაიხურა და პარასკევ საღამოსთვის გადაიდო.

---

დ. ზ. გარდაცვალების გამო აურიცხელი დეპეშები და წერილები მოდის როგორც საქართველოს და რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან. სამწუხაროდ დღევანდელ ნომერში უადგილობის გამო მათ სიას ვერ ვათავსებთ.

## ქუთაისის ამბავში

ქუთაისში საქველ-მოქმედო საზოგადოება არსებობს, რომელსაც მიზნად დასახული აქვს დახმარება გაუწიოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ხელმოკლე ახალგაზრდობას. რადგან ასეთი ახალგაზრდობა ქუთაისში აურიცხველია, მოსალოდნელი იყო ამ საზოგადოებას დიდი თანაგრძნობა დაემსახურებინა ინტელიგენციისა მაინც. ნამდვილად კი 4 წლის განმავლობაში წევრთა რიცხვს უკლია და ამ ჟამად 20 არ აღემატება.

საზოგადოების წლიურ კრებას დავესწარ. გამგეობას წარმოადგენდა 3-4 კაცი, რამდენიმე წევრი საზოგადო კრებას. ითათბირეს, 6—7 კაცმა რითი დავძლიოთო საზოგადოების გულგრილობა. საქმე იმით დამთავრდა, რომ კრება დროებით შესწყდა იმ აზრით, რომ ქუთათურ ინტელიგენციას აცნობონ საზოგადოების მდგომარეობა და მიიწვიონ კრების გაგრძელებაზე, რომელიც ამ დღეებში მოხდება.

გასჭრის თუ არა გამგეობის მოწოდება—მალე დავინახავთ, და მანამდე კი ერთი გარემოება აღვნიშნოთ.

რამდენიმე ინტელიგენტს დავეკითხე, რატომ არ არიან ჩაწერილი ღარიბ სტუდენტების დამხმარე საზოგადოებაში და წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა მობოდიშების მაგივრად, მათ ჩემზევე მიიტანეს იერიში. ერთი გაგულისებული ამოიჩნდა იმით, რომ გამგეობა არაფერ ზომებს იღებს, რომ წევრთა რიცხვი გაამრავლოს, დანარჩენებმა კი იმაზე მიმითითეს, რომ სტუდენტობა არ არის ყურადღების ღირსი — ლოთობენ, არაფერს აკეთებენო.

— მარტო ის ინციდენტი რომ მივიღოთ მხედველობაში, რომელიც სეირნობის დროს მოხდა საოჯახო ბალში, ისიც საკმაოდ ამტკიცებს, რომ ჩვენი სტუდენტობა თავის პირდაპირ გზას გადასცდენია და „ძმა-ბიჭობას" და ლოთი-ფოთობას უფრო მისდევსო,—მიიხრა ერთმა გაგულისებულმა ინტელიგენტმა.

— ჩვენი საზოგადოება ღარიბია, —სთქვა მეორემ,—მაგრამ ამისდა მიუხედავად ქართველი დაწესებულებანი და კერძო პირები სტიპენდიებზე 100 ათას მანეთზე მეტს ხარჯავდა წლიურად და მერე რა? აბა მიიხედ-მოიხედეთ—სად არის ახალგაზრდობა, რომელიც კურს ათავებს უმაღლეს სასწავლებელში; აბა თუ ერთი-ორის გარდა, ისინი სადმე სჩანან ჩვენს საზოგადო საქმეებში? კურს დამთავებულნი იმის მაგივრად, რომ ქართველ საზოგადოებას სამაგიეროს უხდიდნენ ზრუნვისა და დახმარებისათვის, კანცელარიებში და ბიუროკრატიულ დაწესებულებებში არიან მიმალულნი და არც კი ფიქრობენ მგონი იმაზე, რომ ეჭირვება რამე ქართველს და საქართველოს. ამის შემდეგ, ღირსია ასეთი ახალგაზრდობა ზრუნვისა და დახმარებისა? ჩემის ფიქრით, არა,—სთქვა ჩემმა მოსაუბრემ და მომცილდა.

იქნება ასეთი გულის-წყრომა გადაჭარბებულიც არის, მაგრამ თუ სიმართლის ნასახიც არის საზოგადოების უკმაყოფილებაში სტუდენტების მიმართ, ეს უკანასკნელნი უნდა ჩაუფიქრდნენ ამ გარემოებას და ანგარიში გაუწიონ.

ი. ქ. ქ.

## ხმა ბათომიდან

უმფროსი ექიმი აქაურ საავადმყოფოსი პრიანიშნიკოვი, რომელიც ამ ერთი თვის წინედ დასჭრეს, 16-ს ივნის გარდაიცვალა. ჭრილობა თითქმის მოურჩა, ექიმებს სრული იმედი ჰქონდათ მორჩენისა. თითონ განსვენებული სწორედ სიკვდილის დღეს ისე კარგად იყო, რომ ეთქო, რამდენიმე დღეც კიდევ და შვეიცარიაში წავალო, მაგრამ უცბად გულის სიგანივრე მოუვიდა და გარდაიცვალა. ელვის სისწრაფით მოედო მთელ ბათომს მისი სიკვდილის ხმა და ყველა დიდ დანაკლისად სთვლის ბათომისათვის მის სიკვდილს.

მიუხედავად ამისა, ერთი ჯგუფი ჭეშმარიტ რუსთა ასისნდა ქართველების წინააღმდეგ და საქმე „პოგრომამდი" მივიდოდა, რომ ბუქაულის ჩ—ძეს არ წარედგინა დამნაშავენი გუბერნატორისათვის.. ამ ჟამად 10—12 კაცია ამ საქმეზე დაჭერილი და ნამდვილ დამნაშავეს, რასაკვირველია, მართლ-მსაჯულება გამოარკვევს, მხოლოდ ვიტყვით (ღ ხმებიც ასე დადიან—), რომ რაღაც საიდუმლოებით არის მოცული ეს საქმე და ბევრი მაღალი წრის პირი ურევია შ. გაო.

მრავალი ხალხის თანადასწრებით ვგზალზედ მიასვენეს განსვენებულის გვამი—იქიდან თავის სამშობლო მოსკოვში მიაქვთ—თუმცა სამღვდელოება იყო გასვენების დროს, მაგრამ ცოლმა, რომელიც თეთრებში იყო გამოწყობილი, უთხრა სამღვდელოებას: „თუ თქვენ წესს აუგებთ, გალობა - ლოცვებს იტყვით—მე აღარ გავყვები მიცვალებულსაო..." და სამღვდელოებაც იძულებული იყო ჩუმად ყოფილიყო... უნდა შევნიშნოთ, რომ ცოლ-ქმარი პრიანიშნიკოვები ტოლსტოის მიმდევრები იყვნენ.

სამხედრო საკრებულოს ტაძრის დეკანოზი გრიფცოვი გადაყვანილ იქმნა პეტერბურგში. ის სამხედრო პირთ და სამღვდელოებამ დიდის ამბით გააცილეს. ამბობენ, ეს გადაყვანა ეპისკოპოსი ლეონიდის და მის შორის ინციდენტის გამო მოხდაო...

დიდ ხუთშაბათს ყ-დ სამღვდელო ლეონიდი მობრძანდა აქ და სამხედრო ტაძარში უნდოდა შეესრულებინა საიდუმლო ფეხთა ბანა, მაგრამ მან, გრიფცოვმა—სხვადასხვა მიზეზის გამო უარი უთხრა ეპისკოპოს ტაძარში შესვლაზე... ეპისკოპოსმა-კი თავის მხრით გრიფცოვს უარი უთხრა ფეხთა ბანის დროს დასწრებოდა, სხვა ეკლესიაში რა თქმა უნდა. აი ეს გარემოება უდევს საფუძვლად მის აქედან გადაყვანას, თუმცა კი ძალიან მოსწონდა ბათომში და აღარსად უნდოდა წასვლა...

პირველ ივლისს ნ. ხომერიკის რედაქტორობით აქ გამოდის ყოველდღიური გაზეთი სახელად „ბათუმისგაზეთი"—აქაურ გაზეთს (რუსულს), რომელსაც მომეტებული ნაწილი მკითხველები ქართველები ჰყავს—არაფრად ეპაშნიკა ეს ამბავი და ასე გასინჯეთ განცხადებაც არ დაუბეჭდა გაზეთის გამოსვლის შესახებ...

ტრ. მესხელიშვილი.

## მოწერილი ამბები

**სოფ. კავთის-ხევი** (გორის მაზრა). ერთხელ უკვე მოგიწერე, რომ სოფ. კავთის-ხევში დღემდის არც ბიბლიოთეკა-სამკითხველო და არც წვრილ კრედიტის ამხანაგობის დაარსებაზე ზრუნავს ვინმე. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება იქნება როგორმე გვეღირსას: სოფლის მცხოვრებლებმა უკვე აძრეს შუამდგომლობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წინაშე და, როგორც გავიგეთ, იმასვე თავის წილად უკვე აღუძრავს სათანადო შუამდგომლობა ადმინისტრაციის წინაშე. ასე რომ, ბიბლიოთეკა-სამკითხველო ამ მოკლე ხანში გვექნება. ვერ ვიტყვით, რომ ასეთსავე კარგს პირობებში იმყოფებოდეს წვრილი კრედიტის ამხანაგობის საქმე. რამდენიმე პირთ აზრად მოუვიდა ამხანაგობის დაარსება და თათბირიც მოახდინეს. საზოგადოდ წვენი გლეხ-კაცობა უნდობლად უცქერის ყოველს ახალ საქმეს, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი სურვილი გამოიჩინეს და წვრილი კრედიტის ამხანაგობის დაარსების აზრს სიამოვნებით მიეგებნენ. საჭირო იყო მხოლოდ დაწვრილებით ახსნა ყველაფრისა, დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ამხანაგობის საქმე და სხვ. ეს მშვენივრად შეეძლო გაეკეთებინა აქაურ სკოლის მასწავლებელს, მაგრამ, საუბედუროდ, მასწავლებელმა დახმარების ნაცვლად ხელი შეუშალა ინიციატორთ. თათბირის დროს მასწავლებელი უმტკიცებდა შეკრებილთ, წვრილი კრედიტის ამხანაგობა თქვენ ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგიტანთ, ეს ერთგვარი ხრიკიაო და სხვ. ვინც სოფლის მცხოვრებთა ფსიხოლოგიას კარგად იცნობს, ადვილად მიხვდება, რაცხეს შთაბეჭდილებას მოახდენდა გლეხებზე ასეთი სიტყვები და როგორ დაუკარგავდა ნდობას. საკრედიტო ამხანაგობისადმი ცუდი როლი ითამაშა მასწავლებელმა, მაგრამ ინიციატორნი მაინც იმედს არა ჰკარგავენ, რომ საბოლოოდ წვრილი კრედიტის ამხანაგობის საქმეც მოეწყობა.

ს. კავთისხეველი.

---

**ს. ხორგა** (ზუგდიდის მაზრა). ავერ ორი წელიწადია, რაც კატორღელი მ. მერცხულავა და დ. ბერაია გაიქცნენ ზუგდიდის ციხიდან და ადმინისტრაციას ემალებიან; როგორც ამბობენ, დროგამოშვებით სამეგრელოს სხვადასხვა ადგილებში იმყოფებიან.

უკანასკნელ დროს სამეგრელოში გახშირდა ძარცვა-გლეჯა, ყოველ ამგვარ შემთხვევაში პასუხს თხოულობს პოლიცია ხორგის ს. საზოგადოებისა, რადგანაც ზემოხსენებული ყაჩაღები ხორგელი არიან. ბოლოს აქ ერთი მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა: ამ თვის პირველ რიცხვებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა ახალგაზრდა უმანკო ნადირაია, რომლის მკვლელად ნათესავნი და პოლიცია ზემოაღნიშნულ ყაჩაღებს ასახელებენ. პოლიცია ეძებს მკვდარს ასი-ორასი კაცით, მაგრამ ვერსად იპოვა; ეხლა დაუფიქრებლად იჭერს კაცებს, რომლებსაც ყაჩაღების შემწეობას აბრალებს და ციხეში სვამს. ბოლოს პოლიციამ საზოგადოებას უკანასკნელი ვადა მისცა ყაჩაღების გასაცემად, 18 ივნისსა, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება გამოაგზავნოს მთავრობის მაშასახლისი 12 სტრაჟნიკით და ჯარიმა გადაახდევინოს 3000 მანეთი. საჭიროა საზოგადოებამ ყოველივე ზომა მიიღოს ამგვარ პირობების მოსასპობად.

ქურ—ბელი.

---

საქონელი გამოფენილი იყო ორი ხალასი ჯიშისა—სიმმენტალისა და შვიცისა (ორივე შვეიცარიის მთის საქონელი) წარმოდგენილი საუფლისწულო მამულის მიერ; შვეიცარიელს ჰყავნდა ნარევი—ადგილობრივი და შვიცის საქონლის სისხლნარევი საქონელი და ადგილობრივ გაუმჯობესებული და ჩვეულებრივი ჩვენებური საქონელი.

ვორონცოვკელ მალაკნების საქონელი არ წარმოადგენს ხალასს ჯიშს. აქ არეულ-დარეულია მრავალი სხვადასხვა კუთხისა და ჯიშის საქონლის სისხლი, ვორონცოვკელთ საქონლის მოშენებაში არა ჰქონდათ გარკვეული გზა; 20 წლის განმავლობაში შეუძენიათ 800-ამდე სული საქონელი, ვინ იცის რა და რა ადგილებიდან—ტამბოვისა და პენზენის გუბ. ჩვენში წოდებული, „ლინიის" საქონელი, და მრავალი სხვა. ამაზე დაუხარჯავთ ასი ათასამდე მანეთი და ნაყოფი კი არაფერი მიუღიათ და ვერც მიიღებდნენ, რადგან რაც უნდა კარგი საქონელი შეიძინოს კაცმა, რა ფასიც უნდა მისცეს, თუ საქონელი არ ჩააყენე მის ბუნებასთან შეხამებულ-შესისხლ-ხორცებულ პირობებში, იგი არ მოიცემა იმ სარფას, რასაც თავის სამშობლოში იძლეოდა. კარგი საქონელი ნაზი და სათუთია; მიჩვეულია კარგ ბინას, კვებას, მოვლას, სისუფთავეს. მალაკნები კი ამას ვერ მიანიჭებდნენ ნაყიდ საქონელს, ძალიან კარგი ჯიშისაც რომ ყოფილიყო, და იგი ახალს, მისთვის უჩვევ პირობებში ხდებოდა, იკლებდა რძეს, სარფას. მეორე მოდგმა ხომ თითქმის არაფრით არ სჯობნიდა ადგილობრივ საქონელს, რომელიც ას წლობით შესჩვევიყო ადგილობრივს ჰავას, მოვლას, კვებას და სიბინძურეს. სამაგიეროდ საკმაო იყო პატარა რიგიანად მოევლოთ, ეკვებათ ნაყიდი საქონელი ან მისი ჯიში, რომ მაშინათვე ემატებინა რძე და მაშასადამე სარფაც. ამგვარმა ცდამ, რომელიც ამ ზამთარს გაიმართა ვორონცოვკაში, თვალსაჩინოდ დაუმტკიცა ვორონცოვკელებს ეს ძველის-ძველად ცნობილი მცნება. ამხანად ვორონცოვკელები გარკვეულს გზას დაადგნენ: იშვენ მხოლოდ ორს ჯიშს—სინმენტალისა და შვიცისას და ამასთანავე უკეთაც უვლიან და ჰკვებავენ.

თათრებმაც კი შეიგნეს საქონლის რიგიანი მოვლისა და კვების სარფიანობა: მათ ამხანად შეიძინეს კიდეც მამული, ღირებული 240,000 მანეთად. ამ ფასს გადაიხდიან ათს წელიწადში, ე. ი. ყოველ წლივ 24.000 მანეთს: მერე ვინ მისცემს მათ ამ თანხას? გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს ასეა: ამ ფულს მისცემს მათ კარგი მოვლითა და კვებით მომადლიერებული საქონელი, თათრები მათი რძით გადასწყვეტენ ამ ვალს.

საზოგადოდ აქ ფრიად დიდი მომავალი აქვს ადგილობრივ ამ კუთხეს და საჭიროც არის ამ კუთხისათვის საგანგებო ინსტრუქტორის მოწვევა.*)

რა შთაბეჭდილება მოახდინა გამოფენამ ხალხზე? პასუხი ერთია—დიდი! უნდა გენახათ ადგილობრივ ხალხის გაოცება, როდესაც ზოგიერთებს ჯილდო მისცეს კაი საქონელში, ეს ხომ სულ ახალი ხილია ჩვენში.

შედეგი გამოფენისა — მომავალი წარმატება საქონლის მოშენებისა და გამოფენების წარმატება. მომავალი გამოფენა მიიზიდავს დიდძალს ხალხსა და საქონელს. ეს კი გამარჯვების თავდებია!

გამოფენასთან გაიმართა კრებაც, რომელმაც ბევრი საყურადღებო საკითხი აღძრა: მაგ. გამოითქვა თანამედროვე ბეითალთა ორგანიზაციისადმი დიდი საყვედური, როგორც ურიგოდ მოწყობილი, საკითხი საქონლის დაზღვევისა, საქონლის ბაზრობის გამართვისა და სხვა.

ამათ დასრულდა ბ-ნი ქალანთარის მოხსენება; თავმჯდომარემ და კრებამ მადლობა მოახსენეს მოხსენებისათვის და გაიმართა საუბარი მოხსენებებში წამოყენებულ ზოგიერთ საკითხებზე.

ბ. ი. ქუთათელაძემ აღნიშნა სარგებლობა ამგვარ გამოფენათა და სურვილი გამოსთქვა, რომ მეურნეობის სხვა დარგშიც გამოიყენონ ეს მძლავრი საშუალება მეურნეობის წარსამატებლად; ამასთანავე ისურვა, რომ ჯილდო ეძლეოდეთ როგორც ფულად, ისე ამა თუ იმ დარგში საჭირო იარაღი ხელსაწყოს სახით.

მღვდ. გ. კარბელაშვილმა აღნიშნა, რომ ქსნის ხეობაში დიდძალი საქონელია, საკვები და ფიზიკური პირობები ფრიად ხელშემწყო საქონლის წარმატება—განვითარებისათვის, მაგრამ ვინაიდგან აქ არავითარი დახმარება არ ყოფილა, სურვილი გამოსთქვა, რომ მათთვისაც მიეხედათ და საჭირო დახმარება გაეწიათ საქონლის მოშენება-მოვლის წარსამატებლად.

გ. ქურდიანი დაეკითხა მომხსენებელს: შესაძლებელია თუ არა ერთბაშად საქონლის მომთაბარეობაზე ხელის აღება და ერთს ადგილზე ფეხის მოკიდება? რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ ზაფხულში ადგილობრივ დატოვებული საქონელი სულ ამოწყდარა.

ა. ქალანთარი. ზოგ ადგილას მომთაბარეობაზე ხელის აღება არ შეიძლება, ზოგან კი თანდათან მოსახერხებელია. აღნიშნა, რომ საქონელს ღუპავს ციება, ეგრედ წოდებული პირიპლაზმოზი. აღნიშნა ისიც, რომ ადგილობრივი საქონელი თუმცა წყდება, მაგრამ ზოგიერთი იტანს; სხვა კუთხის საქონელი კი სრულებით სწყდება, კამეჩი უფრო იტანს ვიდრე ძროხა. აქ გამოდგება ადგილობრივი საქონელი, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ სახლიდან არ გარეკავენ.

თავმჯდომარე თავ. დ. გ. ხოდოვაშვილი. რამდენად შესაძლებელია საკვების რაოდენობის შემატება და როგორ იტანს საქონელი ადგილობრივს ჰავას, სახლში რომ რჩება?

ა. ქალანთარი. ქერხლისა და ბალახის მოყვანით შეიძლება საკვების მომატება და ჰავასაც იტანს ადგილობრივი საქონელი.

გ. კარბელაშვილი. თიანეთისა და დუშეთის მაზრა წარმოადგენენ მთიან ადგილს; თიანეთის მაზრაში თავ. მ. ვ. მაჩაბლის ცნობებით, ზოგიერთ ადგილას სახნავად გამოუსადეგარ მიწისა 99% აღწევს; საზ. მაისტის თითო მცხოვრებ ქისტს ნადელად აქვს 285-ამდე დესეტინა, მაგრამ აქედან ძლივს დესეტინას ერთი მესამედი იქნება სახნავი მიწა, დანარჩენი ქვა-კლდეა.

ქერხლის მოყვანა აქ გაძნელდება, რადგან ნიადაგი აქ ღრმა არ არის, ქერხალი კი ღრმად დამუშავებას საჭიროებს. მიწაც ცოტაა გამოსადეგი. ბალახი უფრო გავრცელდება.

წარსულ ორი ზაფხულის მუშაობამ ნათლად გამოარკვია, რომ ხალხს ცოდნა სწყურია, ეგ არის ჯერ კაცი არ უნახავს, რომ სოფლად მოსულიყოს და ხარჯი რამე არ აეკრიფოს, მაგრამ დრო და გამოცდილება ასწავლის ხალხს გარჩევას. მთაში ცოდნა პრაქტიკული დიდი აქვთ, ეგ არის, რომ ეს ცოდნა არ არის განათებული—ახსნილი თეორიით. აქ მომუშავეს საჭიროა ჰქონდეს რიგიანი ცოდნა, რაც რუს გლეხისათვის ცოდნა კმარა, ის აქ არა კმარა, რადგან საქონლის მოშენებასა და მერძევეობას ხალხი მისდევს საუკუნოებითა და ცოდნაც დიდი აქვს. რაც შეეხება ინსტრუქტორთა ორგანიზაციის მოწყობას, საჭიროა: 1) მოწყობა ადგილობრივ პატარა საწყობებისა, სადაც გაიყიდებოდეს საჭირო წამალი და ხელსაწყო იარაღი და მასთანვე მოეწყოს სარემონტო, რადგან ხალხი თუ ვერ ჰბედავს მანქანების ყიდვას მხოლოდ იმის შიშით, რომ ადგილობრივ არ შეიძლება მანქანის შეკეთება. 2) საჭიროა, თანახმად ბ-ნ ქალანთარის აზრისა, ადგილობრივ მეურნეებთან წინასწარი მოლაპარაკება და დიდხნით ინსტრუქტორის დარჩენა ამ მეურნეებთან, საქონლის ზაფხულს სახლში დატოვება ადვილი მოსახერხებელია, თუ საკმაო საკვები ექნებათ.

რაც შეეხება მთავრობის ორგანიზაციის მერძევეობის ინსტრუქტორებს ადგილობრივ გასაგზავნად, ეს კარბელაშვილს მიაჩნია უნაყოფოდ, რადგან ინსტრუქტორი 1) იგზავნება მოკლე ხნით და 2) ამ მუშაობას არა აქვს სისტემა. ამიტომ ისევ ქ. ს. ს. საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ამ საქმის რიგიანად მოწყობა.

ამით დამთავრდა კრება, თავმჯდომარემ კრების სახელით კიდევ გადაუხადა მადლობა ბ-ნ ქალანთარს და კრება დაიშალა. შემდეგი მორიგი კრება იქნება ამ კვირია, ხუთშაბათს. განსახილველი საგანი—ორი კურსისტის გაგზავნა კარაკლისში მერძევეობის კურსებზე...

*) კურსივი რედაქციისაა.

# ალბანეთის აჯანყება

დ ე პ ე შ ე ბ ი

18 თიბათვე.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესსე“-ს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ ბალკანეთის საქმეებზე კონფერენცია აღარ იქმნება მოწვეულიო, მაგრამ თუ 16 თიბათვემდის მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ ალბანეთის საკითხი ინტერნაციონალურ საკითხად იქცესო.

**სტამბოლი.** ოტომანის სააგენტო იტყობინება, რომ სამხედრო მინისტრი მახმუდ-შეფკეთ-ფაშამ ლაპარაკში უარ-ჰყო ის ხმები, ვითომც ოსმალების ჯარი ალბანეთში სასტიკად იქცევიანო, თან ირწმუნება, რომ აჯანყებულ ადგილებიდან ქალები ჩერნოგორიას გაიქცნენ და სალდათების მსხვერპლად ვერ გახდებოდნენო. ის ორი ეკლესია თვით ალბანელებმა დააქციეს. სახლები 1000 მეტი დანგრეულია, მაგრამ ზოგი ალბანელების მიერ არის დანგრეულიო. მინისტრი სთხოვს იმ გაზეთებს, რომელთაც რამე ეჭვი აქვთ, თავიანთი კორესპონდენტები გაჰგზავნონ თურღუთ-ფაშის ჯარში.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესსეს“ სიტყვით ავსტრია წინააღმდეგია ინგლისის განზრახვისა, რომ სახელმწიფოებმა საერთოდ წარუდგინონ პორტას განცხადება, რომელიც მისმა მოქმედებამ გამოიწვია. ოსმალეთი და ავსტრია წინააღმდეგნი არიან ჩერნოგორიის წინადადებისა, რომელსაც ვითომ რუსეთი უჭერს მხარს. ჩერნოგორია რეფორმების განხორციელებაში უცხო სახელმწიფოთა თავდებობასა თხოულობს. გაზეთი თხოულობს, რომ ოსმალეთს უცხო სახელმწიფოებმა ისევ რჩევით მიჰმართონ და ჩერნოგორიას კი თავის შეკავება მოსთხოვონ. „ჰესტორ-ლლოიდი“ ამბობს, რომ რეფორმებში თავდებობა ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევა იქნებაო.

17 თიბათვე.

**სტამბოლი.** ჩერნოგორიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩერნოგორია ალბანელების დამშვიდებაში ოსმალეთს ხელს შეუწყობსო. სამაგიეროდ გარეშე საქმეთა მინისტრი დაჰპირდა მოლისორებს, რაც კი შესაძლებელია ყველაფერს დაუთმობთო.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ 364 ალბანელი დაბრუნდა. მათ რიცხვში მაჰმადიანებიც არიან.

**მონასტერი.** კოჩანის მხარეს ალბანელთა ორი დიდი ჯგუფი მოქმედობს. მათ მეთაურობს შეაფ-უეფქე ხაკი-დერვიშ იბრაგიმი. ამბობენ, ალბანელები აჯანყებას განაგრძობენ, თუ დანაპირევის ასრულებაში არავინ უთავმდებებაო.

**სტამბოლი.** გაზ. „რენინმა“, (წინედ „სენინი“) მოათავსა წერილი გამოჩენილ პუბლიცისტისა, დეპუტატისა და ყოფილ მინისტრისა იზმაილ-ბაბან-ზადესი. წერილი ეხება უცხო სახელმწიფოთა ალბანეთის საქმეებთან დამოკიდებულებას. რაკი ინგლისი გრეის სახით გამოვიდა, ბაბან-ზადე სწერს: ცხადია ინგლისელები ოსმალეთს დასცინიან, ისე როგორც შუაგულ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაო. ავსტრიის მაგალითი შემაცდუნებელია. ავსტრიელი პოლიტიკოსები ჯერ კბილებს გვიჩვენებენ, მერე კი, იმედი აქვთ, რომ ამას პატივისცემით დაჰფარავენ, ე. ი. ისევე მოიქცევიან, როგორც ბოსნია-ჰერცოგინიის ანექსიის დროს მოიქცნენ და ეცდებიან, რომ ოსმალეთი თავიანთ მიზნების სასარგებლოდ გამოიყენონ. მაგრამ ავსტრია ამას ვეღარ მოახერხებს. ალბანეთის ავტონომიის შესახებ ამბობს: ოსმალეთის ხსნა მხოლოდ ოტომანიზმის განვითარებაშია, რომელიც ერთა თანასწორუფლებიანობაზე უნდა დამყარდესო.

## გაზეთებიდან

ბრძოლა გრძელდება. 16 ამ თვეს აჯანყებულნი ნიკჩესთან ოსმალებს დაეცნენ, მთებიდან ხეობაში ჩარეკეს და აქ ჯვარედინად დაუშინეს თოფი. ოსმალები საშინლად დამარცხდნენ. ალბანელებმა სხვა ადგილებსაც გაიმარჯვეს. ბრძოლის დღეს სკუტარში ოსმალების 27 დაჭრილი აფიცერი მივიდა. საზოგადოდ ამ ბოლო დროს ოსმალები მარცხდებიან.

იმავე დღეს ცეტინიეში სკუტარიდან ახალ-გაზრდა ოსმალთა წარმომადგენელი ხაკი-ბეი მივიდა და აჯანყების მეთაურებთან მოლაპარაკება გამართა. აზრათა აქვს მოელაპარაკოს აგრეთვე იზმაილ-ქემალ-ბეის, ალბანეთის დეპუტატს ოსმალეთის პალატაში. ამბობენ, ხაკი-ბეი აჯანყებულთ ახალ პირობებს დაუდებს, და უფრო მეტს აღუთქვამს, ვიდრე აქამდე ჰპირდებოდნენო. მოლაპარაკება ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ სწარმოებს. გასჭრის თუ არა ხაკი-ბეის შუაკაცობა, ვინ იცის, მაგრამ ალბანელები რომ ოსმალებს აღარას უჯერებენ ეს იქიდანა სჩანს, რომ სადრედინ-ბეის წერილს ალბანელებმა არ დაუჯერეს. ეს წერილი ბიზანტიზმის ნიმუშია, სადაც სიტყვებში მოტყუება იმალებოდა, დი მის მიერ დაგებულ მახეში არ გავებმევითო, ამბობენ ალბანელები.

ცეტინიეში გაჩნდა ბარონი ნოპაჩი, ალბანეთის დიდი მცოდნე პირი. მისი მოქმედება საეჭვოა. იგი აჯანყებულთ ფულს ურიგებს და დამშვიდებას ურჩევს, თან არწმუნებს, თუ არ დამშვიდდებით, ავსტრია ალბანეთში კათოლიკეთა დასაცველად ყოველ გავლენას დაჰკარგავსო. ნოპაჩს პოდგორიცაში უნდოდა წასვლა, მაგრამ მთავრობამ ნება არ მისცა. დარწმუნებულნი არიან, რომ მას ჩერნოგორიიდან მალე გააძევებენ.

ოსმალეთი მოთმინებიდან გამოდის. ერთ ოსმალელ დიპლომატს უთქვამს, თუ ალბანელები არ დამშვიდნენ, მიწასთან გავასწორებთო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 თიბათვე.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** დესელვ ფალიერს გაჰყვება ჰოლანდიაში. გარეშე საქმეთა მინისტრობა მის დაბრუნებამდის კაიოს ჩაჰბარდა. ელისეის სასახლეში კაიო დიპლომატიურ კორპუსის წევრებს დიდ-ხანს ესაუბრა, მეტადრე გერმანიის ელჩს. საღამოთი კაიო დესელვს ეთათბირა. ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, ადვილი შესაძლებელია, რომ საფრანგეთმა აგადირს ან მოგადორს სამხედრო გემი გაჰგზავნოსო. ეს ხმა ამ მოკლე ხანში მაინც არ გამართლდება.

**კელნი.** „კელნიშე-ცეიტუნგს“ ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ, მიუხედავად გაზეთების ცნობებისა აგადირში გერმანიის ჯარი ჯერ-ჯერობით გემიდან არ გადავაო. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ გერმანიის ქვეშევრდომთ რამე ხიფათი გაუხდებათო. არც ის ცნობაა ნამდვილი, ვითომც გერმანიას აგადირს იქით მიწების დაჭერა ჰსურდეს. გაზეთი უარს ჰყოფს იმ ხმასაც, ვითომ გერმანიასა და საფრანგეთს შეთანხმებაზე მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული.

**ლონდონი.** გაფიცულ მეზღვაურთ მუშაობის დაწყობა გადასწყვიტეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ გემთა სამშენებლო სადგურების მუშებს ჯამაგირი მიემატება. გაფიცულებმა ეს გადაწყვეტილება ვაჭრობის მინისტრს აცნობეს. უთანხმოება მალე გათავდება.

**თეირანი.** სამინისტროს კრიზისი ისევ არის. საპეხდარი რეშტშია. მეჯლისი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ კაბინეტის უსაპეხდაროდ დატოვება შეუძლებელია და გადასწყვიტა დაბრუნება სთხოვოს. თან წერილო ბითი პირობა დაუდო, ყოველ საკითხში მხარს დაგიჭერთო.

**მადრიდი.** ოფიციალური „დიაპიო-უნივერსალს“ ჰგონია, რომ გერმანელების ადაგირში გასვლა ინგლისს (?) უფრო დაზარალებს ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოსაო. გერმანიის მოქმედებამ ისპანიის საზოგადოება ასიამოვნა, საზოგადოება ჰფიქრობს, რომ გერმანიის დემონსტრაცია იმის დამამტკიცებელია, რომ მაროკოში დაინტერესებულ სახელმწიფონი თავიანთ ინტერესებს დაიცავენო.

**ცეტინიე.** მეფე ალბანელ ბაირაღტრებს ესაუბრა.

**ლივერპული.** გაფიცულთა მეთაურმა განაცხადა, გაფიცვა გათავდაო. მუშაობა ბევრგან დაიწყო.

**გრიმსბი.** ნავთ-სადგურთა გემების გაფიცვა გათავდა. მუშების თხოვნა დააკმაყოფილეს.

**ბერლინი.** გერმანიის მთავრობამ სახელმწიფოებს განუცხადა: გემი „პანტერი“ ადაგირში იმიტომ გავგზავნეთ, რომ იქ ადგილობრივ მცხოვრებთა მოძრაობა დაიწყო და გერმანიის ქვეშევრდომთ შეეშინდათო. რა წამსაც კი მაროკოში წესიერება დამყარდება, გემი ადაგირს თავს დაანებებსო.

**პარიზი.** „ტან“-ი იმ აზრისაა, რომ გერმანიასა და საფრანგეთს მოლაპარაკების გამართვა მოუხდებათ. დესელვი აძულებული იქმნება მეგობარ და მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად იმოქმედოსო.

**მადრიდი.** „იმპარსიალი“ ამბობს, რომ გერმანიის გამოსვლა ლოღიკური დასკვნაა საფრანგეთის პოლიტიკისა, რომელსაც იგი ამ ბოლო თვეებში ეწეოდაო. „მანიანა“ ჰფიქრობს, რომ საფრანგეთი ინგლისსა სთხოვდა შველასაო. „ლპაისი“ მთლად წინააღმდეგია გერმანიისა და ამბობს, რომ მაროკოში წესიერება საფრანგეთის პოლიციურმა ჯარმა უნდა დაამყაროს და არა გერმანიის ლაშქარმაო.

### რ უ ს ე თ ი.

**ხაბაროვსკი.** გონდატტიმ მიიღო მანჯურიის ვიცე-კოროლისგან ჩჟაოერსუნისაგან თავაზიანი წერილი, სადაც იგი ირწმუნება საზღვრების საკითხების სასურველად გადაწყვეტას და ჰპირდება ყოველგვარ დახმარებას.

**ბრიანსკი.** მატარებლის გასვლის ჟამს მგზავრებს თავს დაესხნენ მძარცველები. ერთი მგზავრი ქალი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია, მძარცველებმა მატარებლის ქვეშ ჩააგდეს.

**რიგა.** უტოჩკინი რვაჯერ აფრინდა ზღვაზე, ხუთჯერ მგზავრებითურთ.

**ვალკი.** საერობო კრებაზე გადაწყდა დააწესონ სავალდებულო სწავლება ათი წლის განმავლობაში.

**ნოვოჩერკასკი.** სტნიცის კრებამ დაადგინა, აღიძრას შუამდგომლობა პეტერბურგში უმაღლეს სამხედრო მმართველობის წინაშე ნოვოჩერკასკში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. და ამ მიზნისათვის გადასდეს კიდეც 25 ათასი მანეთი. ასეთივე შუამდგომლობა აღძრა ექიმთა საზოგადოებამაც.

**ვორონეჟი.** ახალ ხოპიორის სატუსაღოში ორმა საკატორღო ტუსაღმა მოკლა ზედამხედველი და გაქცევა დააპირა, მაგრამ ერთი სტრაჟნიკმა მოჰკლა და მეორემ თავი ჩამოიხრჩო.

**პეტერბურგი.** იუსტიციის სამინისტროში მინისტრის თანაშემწე ვერიოვკინის თავმჯდომარეობით შესდგა ცალკე საბჭო, სადაც განიხილებიან საფრანგეთთან ერთად ავტორის უფლებათა მოწესრიგების საქმესთან დაკავშირებული საკითხები. საბჭოს თავმჯდომარე მიმართავს სხვადასხვა პირთ და დაწესებულებათ შეატყობინონ თავიანთი აზრები ამის შესახებ ან პირდაპირ მას, ან სამინისტროს საიურისტკონსულტო ნაწილში, კონსულტაციის წევრის ვალტერის სახელობაზე. საფრანგეთთან მოლაპარაკებას გადაწყვეტილია შეუდგნენ შემოდგომაზე.

# გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო** მატ. დილ. 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული** მატ. № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

1 3) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად, 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 2 წ. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

ბაქოდან: ჩქარი მარარ. პლატსკ. N 1 I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათომიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით.

მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4აშ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილისბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საავარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) შერეული სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა სადგურების მიხედვით ივლის.

### ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

ნამესტნიკი ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, საზოგადოებრივ მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა სამშაბათობითა და პარასკევობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სახაზ. სახლ.

ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

ეგზარხოსი—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბი შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

ტფილისის გუბერნატორი — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიმში).

კავკასიის მიწათმოქმედებისა და მიწად მოსაწყობი მთავარი რწმუნებული—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

### ნ ი ხ რ ი

ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა (მეეტლებთან მოურიგებლად).

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქალაქში ერთ ადგილამდე | 40 კ. |
| 2. | ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან | 70 „ |
| 3. | ვაგზლიდან ქალაქში | 70 „ |
| 4. | ვაგზლიდან განაპირებში | 1 მ. — |
| 5. | ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბემდი | 40 „ |
| 6. | ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე | 50 „ |
| 7. | მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან | 80 „ |
| 8. | ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში | 50 „ |
| 9. | ფუნიკულერის სადგურამდე | 50 „ |
| 10. | იქიდან უკან დაბრუნება | 40 „ |


# განცხადებანი

ვღებულობ ყოველნაირ
## ბეჭდების გადაღებას და ხაზვას

ადრესი: ბაგრატიონის ქ. N 12 (მე-4 ნაწ.) ალექსანდრე იღრამაშვილს. ნახვა შეიძლება დილის 11 საათიდან 2 ს—მდე და საღამოს 5—7 ს. (1—675—1)

◄ მშობიარეთათვის ►
## თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მოსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—1083—56)

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. ბეგეხკოვა-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ფ. ვარცაშევსკი: 6—7 ს. შინ. განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—65)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი) ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
## იყიდება შემდეგი წიგნები:

ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.

Bato n-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.

ვ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლე[illegible]“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები [illegible]დება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
## ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

### ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (თართი).

### ხიზილალა
ახალი (Зернистая).

პ ა რ კ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაიუსი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიცა 50 კ.

აგრე[illegible] ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—1063—)


რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

სტამბა „ხორაშანი“, მადათოვის კუნძული.